# პრეპარატ „კამელინის“ კიდევ ერთი აღიარება

**გასული საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც მედიცინა ანტიბიოტიკებისა და სხვა სამკურნალო საშუალებების დეფიციტს განიცდიდა, საქართველოში ცნობილმა ქირურგმა ბენედიქტ (ძაბული) მაღლაკელიძემ მიაგნო თაფლის იმ უნიკალურ სახეობას, რომელიც მდიდარი გამოდგა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით და ორიგინალური ტექნოლოგიის გამოყენებით მიაღწია მათი თავისუფალი სახით გამოყოფას და შემდგომ პრეპარატ „კამელინის“ სახით წარუდგინა სამედიცინო საზოგადოებას.** ასე დაიწყო მრავალი ორიგინალური ექსპერიმენტულ-კლინიკური კვლევები მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, თბილისის ონკოლოგიურ და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში. ავტორის უეცარმა გარდაცვალებამ და სხვა სუბიექტურმა მიზეზებმა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეაჩერა აღნიშნული პრეპარატის ფართომასშტაბიანი წარმოება და მხოლოდ 2004-2005 წლიდან გახდა შესაძლებელი, თავიდან აღორძინებულიყო ის, რაც დიდი ძალისხმევის ფასად მოახერხეს მისმა მეუღლემ, აწ გარდაცვლილმა, ასევე ქირურგმა გუგული აბაშიძემ, ქალიშვილმა ქეთევანმა და სიძემ ავთანდილ მახარობლიძემ. მას შემდეგ, უმოკლეს დროში „კამელინმა“ მოიარა მსოფლიოს უდიდესი სამეცნიერო და კლინიკური ცენტრები და მრავალი მეცნიერის ყურადღება მიიპყრო. კვებეკის, მონრეალის, ილინოისის, ბერნის, ორეგონის, ბრაზილიის, დელის უნივერსიტეტებსა და კლინიკებში ნათლად დადასტურდა არა მხოლოდ მისი იმუნომოდულატორული, არამედ ანტისიმსივნური, ანტიანთებითი, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ქსოვილის რეგენერაციული, ანტიპარაზიტული და სხვა თვისებები. 2010 წლის იანვარში ესპანეთში დაგეგმილ სიმპოზიუმზე „internerional conference on antimicrobial research“ წარმოდგენილი იყო პრეპარატ „კამელინზე“ 6-გვერდიანი სტატია. კომპანია „კამელინის“ პარტნიორები გახლდათ კვებეკის, ბერნის უნივერსიტეტები, საქართველოს ტუბერკულოზისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი. ახლახან კომპანიის წინსვლას დაემატა კიდევ ერთი აღიარება უცხოელ მეცნიერთა მხრიდან. გამომცემლობა „world Scientifik“-ის მიერ გამოცემულ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო წიგნში „მეცნიერება და ტექნოლოგიები მიკრობული პათოგენების წინააღმდეგ“ გამოქვეყნდა ესპანეთის სიმპოზიუმზე წარმოდგენილი 6-გვერდიანი სტატია, სათაურით – „evalution of in vitro and in vivo antibacterial and anti-fungal activity of „camelyn m“.

გვესაუბრება კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, 2009 წლის მსოფლიო საუკეთესო მეცნიერთა „Top 100“-ში შესული მეცნიერი, **ბატონი კობა გურიელიძე:**

**– ბატონო კობა, უპირველესად, ვულოცავ კომპანიას კიდევ ერთ აღიარებას... გვითხარით, რის საფუძველზე ხვდა წილად ესოდენ დიდი პატივი ქართულ პრეპარატ „კამელინს“?..**

– შეგახსენებთ, რომ „კამელინზე“ წარმოებული კვლევები, რომლის საფუძველზეც მტკიცდება „კამელინის“ შესანიშნავი ანტისიმსივნური თვისებები, მოიცავს 1945-1975 წლებს. ამ პერიოდის განმავლობაში „კამელინი“ მოიხმარა ათასობით ონკოდაავადებულმა და მათ შორის უამრავი შემთხვევაა ისეთი, როდესაც უმძიმეს სტადიაზე მყოფი ავადმყოფისთვის „კამელინი“ იყო უკანასკნელი იმედი. 2004 წლიდან, როდესაც მსოფლიოს მრავალი მოწინავე სამეცნიერო და კლინიკური ცენტრი ჩაერთო „კამელინის“ კვლევაში, მოხდა პრეპარატის აღორძინება და ფარმაცევტულ ბაზარზე წარმატებით გატანა. უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც ჩვენ მიერ გადაცემულ იმდროინდელ დოკუმენტურ მასალებს გაეცნენ, ადასტურებენ „კამელინის“ ანტიბლასტომურ (ანტისიმსივნურ) თვისებებს. მათში განსაკუთრებულად დიდი ინტერესი გამოიწვია წარმოდგენილმა კლინიკურმა შემთხვევებმა, რომლებშიც დამაჯერებლად (ყოველთვის მორფოლოგიური დამოწმებით) არის ნაჩვენები პრეპარატის მკაფიოდ გამოხატული ქიმიოთერაპიული ეფექტი სხვადასხვა სიმსივნეების შემთხვევებში. ყოველივე ამის შემდეგ, უმოკლეს ვადაში, „კამელინმა“ მოიარა მსოფლიოს უდიდესი სამეცნიერო და კლინიკური ცენტრები. პირველი ეტაპი იყო კვლევა საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ჯილეხის გამომწვევ რთულ ბაქტერიაზე, რაზეც კამელინმა გამოავლინა დადებითი ეფექტი, ანუ დაბალ კონცენტრაციაში მოსპო აღნიშნული ბაქტერია. მსოფლიოში იშვიათია ბუნებრივი ნაერთი, რომელიც ასეთ შედეგს იძლევა, თუ არ ჩავთვლით ქიმიურ ნაერთებს, რომელთა უარყოფითი მოქმედება ორგანიზმზე ცნობილია. სწორედ ამიტომ გაიზარდა პრეპარატ „კამელინზე“ ინტერესი მსოფლიოს მოწინავე სამეცნიერო კვლევითი ცენტრების მხრიდან.

კვლევის მასალებზე დაყრდნობით შეიქმნა საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფი, რომელშიც კვებეკისა და ბერნის უნივერსიტეტებთან ერთად ჩართული იყო საქართველოს ტუბერკულოზისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, ასევე ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი. ანტიმიკრობული და ანტისოკოვანი კვლევების შედეგები „კამელინის“ გამოყენებით მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩნდა, „კამელინმა“ გამოავლინა დადებითი ეფექტი ანტიბიოტიკრეზისტენტული პათოგენების მიმართ, რაც მედიცინისთვის დღემდე აქტუალურია. მომზადდა სამეცნიერო სტატია და გაიგზავნა ესპანეთში მსოფლიო სამეცნიერო კონფერენციაზე. უკვე ახლახან ცნობილმა უმსხვილესმა გამომცემლობამ გამოსცა წიგნი, რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა ჯგუფი და მათი გადაწყვეტილებით, 60 ქვეყნიდან წარმოდგენილ სტატიებს შორის „კამელინზე“ პუბლიკაციას 6 გვერდი დაეთმო. წიგნში შესული სამეცნიერო პუბლიკაციები განკუთვნილია სტუდენტებისთვის, სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე მედპერსონალისა და მკვლევარ-მეცნიერებისთვის. ეს კიდევ ერთი დიდი მსოფლიო აღიარებაა... გამოცემის კოლეგიის წევრები გახლდნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც არიან:

David Nevmani – division of Cancer Treatment and Diagnosis, National Cancer Institute, Marylend, USA.

David Wareham – Queen Mary University London, Centre for Immunologu and Infectious Disease

Robert A. Bonomo-Univerity School of Medicine, Cleveland, Ohio, USA.

Paskal m. Dohmen – Departament of Cardiovascular Surgery, Charite Hospital, Medical University Berlin, Germany

Francois Niyonsaba – Atopy Research Center, Tokyo, Japan

Angel Concheiro – Department of Pharmacy and Pharmaceutical Technology, University of Santiago de Compostela, Spain Pj Cullen- School of Food Science and Environmental Health, Dublin, Ireland და სხვები, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

კომპანია „კამელინი“ კვლავ განაგრძობს აქტიურ კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით...

ჩვენ არ ვჩერდებით და სისტემატურად ვაწარმოებთ „კამელინის“ ბიოლოგიურ აქტივობებზე მონაცემების შეგროვებას. მრავალი კვლევის საფუძველზე „კამელინმა“ გამოავლინა სხვადასხვა გამოყენების ჩვენებები და შეიძინა ახალი მიმართულებები მედიცინაში (რევმატოლოგიასა და უროლოგიაში, გინეკოლოგიაში, სტომატოლოგიაში, დამწვრობით გამოწვეული პათოლოგიების, განსაკუთრებით იმუნური თვალსაზრისით და სხვა დაავადებების დროს). 11 ივნისს კომპანია „კამელინმა“ „შერატონ ბათუმი პალასში“ გამართა კონფერენცია თემაზე „კამელინი და ჯანმრთელობა“, სადაც სხვადასხვა პროფილის ექიმებმა წარმოადგინეს მოხსენებები პრეპარატ „კამელინზე“ განხორციელებული კვლევების შედეგებზე. კონფერენციის სტუმრები იყვნენ ასევე ბათუმის სხვადასხვა პროფილის წამყვანი სპეციალისტები, რომლებმაც მედიის წარმომადგენლებთან დისკუსიის დროს გამოთქვეს მოსაზრება პრეპარატ „კამელინის“ ოთხივე ფორმის უფრო ფართოდ გამოყენების სხვადასხვა დაავადებებთან მიმართებაში, განსაკუთრებით პროფილაქტიკური გამოყენების მიზნით.

კომპანია „კამელინი“ ამჯერად აწარმოებს ოთხი სახეობის „კამელინს“ – ინექცია „კამელინ მ 1“, კაფსულა „კამელინ მ 2“, მალამო „კამელინ მ 3“, სანთლები „კამელინ მ 4“. სექტემბრის ბოლოს გამოვა „კამელინფლუ“-სპრეი, ყელისა და პირის ღრუს ინფექციებისთვის.

**მოამზადა მაია ცომაიამ**










კობა გურელიძე


®

**„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა. დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-45-33-68; 2-22-26-68; 2-75-04-08; 599 33 10 89; 599 58 09 07; 577 73 56 51; 599 23 03 33;**
**www. Camelyn.ge**




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება